საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს ლ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: გ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.09.23

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 080/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ვ. ა.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 27 სექტემბერს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს ლ.-ის წარმომადგენელმა გ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2023 წლის 11 ოქტომბერს მომჩივანმა წარმოადგინა დამატებითი წერილობითი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა

მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის მიერ გამართულ 2023 წლის 23 ოქტომბერს გამართულ საპროცესო სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორის თანახმად, ის არის შპს ლ.-ის გენერალური დირექტორი და ამ თანამდებობას იკავებს 2022 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის ინიციატორები იყვნენ კომპანიის შპს ლ.-ის დამფუძნებლები. მომჩივანის განმარტებით, დაკავებულ თანამდებობებზე მის მიერ გატარებული ღონისძიებების შემდგომ, მას სამართლებრივი დავა წარმოეშვა შპს ლ.-ის ყოფილ გენერალურ დირექტორთან, თ. ი.-სთან და სწორედ მის ინტერესებს იცავს ადვოკატი ვ. ა..

1.3 საჩივრის ავტორის მიხედვით, 2023 წლის 29 აგვისტოს, სადაც განთავსებულია შპს ლ.-ის საკუთრებაში არსებული საწარმო, აღნიშნულ კომპანიასთან არადაკავშირებულმა პირებმა სცადეს საწარმოს ტერიტორიაზე შეჭრა და აღნიშნულ ქმედებას ხელმძღვანელობდა ადვოკატი ვ. ა., რომელსაც თან ახლდნენ ა. წ. და თ. ი. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული შინაარსის განცხადებებს, კერძოდ კი „რუს ფაშისტებს“ და „ოკუპანტებს“. დისკრიმინაციული განცხადებების ინიციატორი გახდა ადვოკატი ვ. ა., რომელმაც მრავალჯერ განაცხადა „რუსი ოკუპანტები“, რის შემდგომაც იგივე შინაარსის განცხადებების გაკეთება დაიწყეს მისმა კლიენტებმაც, რასაც ადასტურებს 2023 წლის 29 აგვისტოს გადაღებული ვიდეო. იმის თაობაზე, რომ ადგილზე ხდებოდა ვიდეოს გადაღება ადვოკატი და მისი კლიენტები ინფორმირებულნი იყვნენ, თუმცა მაინც განაგრძეს დისკრიმინაციული სახის განცხადებების გაკეთება.

1.4 საჩივრის ავტორის თანახმად, 2023 წლის 29 აგვისტოს, როდესაც ადვოკატ ვ. ა.-ის და მისი კლიენტების მხრიდან მოხდა დისკრიმინაციული განცხადების გავრცელება, ადვოკატმა საწარმოს წინ გააჩერა ავტომობილი, რამაც გამოიწვია საწარმოს შესასვლელის გადაკეტვა, რაც დასტურდება 2023 წლის 29 აგვისტოს გადაღებული ვიდეო-მასალით.

1.5 საჩივრის ავტორის თანახმად, მას აქვს განცდა, რომ ადვოკატი ვ. ა. უთვალთვალებს, ურეკავს განუწყვეტლივ, თან სდევს ყველგან, სადაც კი გამოჩნდება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ვ. ა.-ს 2023 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს ფოსტის მეშვეობით, გაეგზავნა საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით და სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ეცნობა ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შემოსულ საჩივარზე. 2023 წლის 5 ოქტომბერს ადვოკატმა წარმოადგინა საკუთარი წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, ის 2023 წლის 15 აგვისტოდან იცავს შპს ლ.-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, 19.38% წილის მფლობელის თ. ი.-ის ინტერესებს მის მიერ სხვა დამფუძნებელთან ერთად ლანჩხუთის სს სამართველოში შეტანილ განცხადებაზე, სადაც გ. ა.-ს ამხელენ თაღლითური გზით მათი 49% წილის მითვისებაში. გ. ა.-მ დაარღვია მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ კი მას და მის დას მარია არხიპოვას შპს ლ.-ის დამფუძნებლებმა უსასყიდლოდ გადასცეს 49%-იანი წილი, რის სანაცვლოდაც გ. ა.-მ და მ. ა.-მ იკისრეს ვალდებულება, რომ განახორციელებდნენ 2 მილიონ 300 ათასი ლარის ინვესტირებას, გაისტუმრებდნენ კომპანიის დავალიანებას, რომელიც

შეადგენდა 15 ათას ლარს, თუმცა აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ მოხდა, პირიქით 49%-იანი წილის უსასყიდლოდ მიღების შემდგომ, მათ შექმნეს კონფლიქტური სიტუაცია კომპანიის თანადამფუძნებლებთან, საწარმოს ტერიტორიაზე შესასვლელ კარს დაადეს ბოქლომი, დააყენეს გუშაგები და შპს ლ.-ის თანამესაკუთრეებს არ უშვებდნენ ტერიტორიაზე.

2.3 ადვოკატის თანახმად, 51% წილის მფლობელებმა მოიწვიეს საერთო კრება და გ. ა. გადააყენეს თანამდებობიდან, რადგანაც მან არ იმოქმედა კანონის შესაბამისად და წლიური ანგარიშის ჩაბარებიდან 6 თვის ვადაში სავალდებულო წესით არ მოიწვია საერთო კრება. საერთო კრების გადაწყვეტილების რეგისტრირება არ მოხდა საჯარო რეესტრის მიერ, რადგანაც შპს ლ.-ს არ ჰქონდა გაკეთებული რეგისტრაცია ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. ხარვეზის გამოსასწორებლად საჭირო იყო რიგგარეშე კრების მოწვევა, რაც უნდა გაეკეთებინა დირექტორ გ. ა.-ს, რისთვისაც საჭირო იყო, რომ 5%-იანი და მეტი წილის მქონე პარტნიორების მიერ დირექტორისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნა, რომლის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში დირექტორი ვალდებული იყო მოეწვია კრება და თუ ის ამ ვადაში არ მოიწვევდა კრებას, მაშინ ამის უფლებამოსილება ექნებოდა 51%-იანი წილის მფლობელებს. მოპასუხე ადვოკატის მიხედვით, გ. ა. შეგნებულად არიდებდა თავს შეტყობინების ჩაბარებას, კერძოდ კი არ პასუხობდა პარტნიორების სატელეფონო ზარებს, არ ცხადდებოდა სამუშაო ადგილზე, ასევე არ ადასტურებდა წერილის მიღებას არც ელექტრონული ფოსტის და არც აპლიკაცია „Whatsapp"-ის მეშვეობით.

2.4 ადვოკატის თანახმად, 2023 წლის 29 აგვისტოს მას დაურეკა მისმა კლიენტმა თ. ი.-მა და სთხოვა მასთან მისვლა, სადაც ასევე იმყოფებოდა ერთ-ერთი თანადამფუძნებლის წარმომადგენელი ა. წ. და ისინი მოპასუხე ადვოკატის ავტომობილით გაემართნენ შპს ლ.-ის საწარმოსკენ, რადგანაც თ. ი.-ს შეატყობინეს, რომ მ. და გ. ა.-ები იმყოფებოდნენ საწარმოს ტერიტორიაზე. ადვოკატის განმარტებით, მის კლიენტს თ. ი.-ს სურდა საწარმოს ტერიტორიაზე შესვლა ქონების დათვალიერების მიზნით და ასევე სურდა, რომ გ. ა.-სთვის გადაეცა განცხადება რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ.

2.5 ადვოკატის მიხედვით, როდესაც მივიდნენ შპს ლ.-ის საწარმოსთან მან საკუთარი ავტომობილი გააჩერა ეზოს გარეთ, საგუშაგო ჯიხურთან და მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია ტერიტორიაზე შესავლელი კარის გადაკეტვას. მისვლის მომენტში მათ ადგილზე დახვდნენ გუშაგები ქალი და კაცი, რომლებმაც დაუდასტურეს, რომ მ. და გ. ა. იმყოფებოდნენ შპს ლ.-ის საწარმოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ მათ სთხოვეს გუშაგებს, რომ მიეწოდებინათ გ. ა.-სთვის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სურდათ მისთვის გადაეცათ განცხადება რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ, რისთვისაც საჭირო იყო, რომ ან თავად პარტნიორები შესულიყვნენ საწარმოს ტერიტორიაზე ან გ. ა. გამოსულიყო მათთან შესახვედრად, თუმცა მიიღეს უარი, რის შემდგომაც თ. ი.-მ ტელეფონით გამოიძახა პოლიცია. ადვოკატის თანახმად, მათ ადგილზე მოსულ პოლიციის ეკიპაჟს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დირექტორი გ. ა. არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, განზრახ არ იბარებდა განცხადებას კრების მოწვევის შესახებ და თანამესაკუთრეებს არ უშვებდნენ ეზოში ქონების დასთვალიერებლად. მ. და გ. ა. არც პოლიციის კანონიერ მოთხოვნას

არ დაემორჩილნენ და უარი თქვეს საწარმოდან გამოსვლაზე, ამის შესახებ პოლიციამ შეადგინა ოქმი.

2.6 მოპასუხე ადვოკატის თანახმად, მისი მხრიდან დისკრიმინაციული შინაარსის განცხადება არ გაჟღერებულა. პოლიციის მოსვლის შემდგომ, ემოციურად აღელვებული პარტნიორები ამბობდნენ „გამაგებინა, ოკუპანტები ხომ არ არიან ჩვენი ტერიტორია დაიკავეს და საკუთრებაში არ გვიშვებენ“- ო, თუმცა მათი მხრიდან სიტუაციის გამწვავებას ადგილი არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიციას საჩივრის ავტორი გამოიძახებდა და არა მისი კლიენტი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება გ. ა.-ს მიერ გამოთქმულ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ის საჩივრის ავტორს უთვალთვალებს, განუწყვეტლივ ურეკავს და დასდევს ყველგან სადაც გამოჩნდება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ვ. ა. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი /№/ სპეციალიზაცია- სისხლის სამართალი.

3.2 გ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 27 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წლის აგვისტოში შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ვ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ვ. ა.მ 2023 წლის 29 აგვისტოს შპს ლ.-ის საწარმოსთან მის მიერ გაკეთებული განცხადებებით „რუსი ოკუპანტები“ გაამწვავა სიტუაცია და წააქეზა მისი თანმხლები პირები, რომ გაეჟღერებინათ სხვა სახის შეურაცხმყოფელი განცხადებები. .

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ვ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები

ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას"(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 და 9.4 მუხლები)

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)

5.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. (ეთიკის კომისიის 03.10.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N025/15).

5.4 აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 17.1). აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფით ფაქტს (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1(ბ)). აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4.1)

5.5 საჩივრის ავტორის, გ. ა.-ს პირველი პრეტენზია ეხება, 2023 წლის 29 აგვისტოს, შპს ლ.-ის საწარმოსთან ადვოკატ ვ. ა.-ის მიერ წარმოთქმულ ფრაზას. კოლეგიამ შეაფასა, საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ვ. ა.-ის მიმართ საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერის საფუძველზე (იხ. საჩივრის ავტორის მიერ, წარმოდგენილი 2023 წლის 29 აგვისტოს თარიღით დათარიღებული ვიდეო ჩანაწერი), რომლის მიხედვითაც 00:00:50წმ-ზე ისმის ადვოკატ ვ. ა.-ის ხმა შემდეგი სიტყვებით „რუსი ოკუპანტები".

5.6 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ვ. ა.-ის მიერ გაკეთებული განცხადება თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით შეფასდეს, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

5.7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება,

ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა".

5.8 ეთიკის კომისია პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართაც. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე #076/10) აღნიშნა, რომ: ,,გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი". თუმცა ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, „ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე" (05.09.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე N069/11).

5.9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (საქმე№1/3/421.422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს."

5.10 ეთიკის კომისია საჭიროდ თვლის ერთმანეთისგან გამიჯნოს სიტყვიერი შეურაცხყოფა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

5.11 სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირებას, მისი პატივისა და ღირსების შელახვას, გამოხატულს ზეპირი ფორმით. ამასთან, შეურაცხყოფა აუცილებლად გულისხმოს არაეთიკური და ამორალური ფრაზების ხმარებას. პიროვნებისთვის მორალური ტანჯვის გამომწვევი შესაძლოა იყოს სიმართლეც, გამოთქმული ეთიკურობის ფარგლებში, რაც არ უნდა შეფასდეს სიტყვიერ შეურაცხყოფად, თუნდაც ასეთი ფრაზები პირმა აღიქვას როგორც მისი თავმოყვარეობის შელახვა.

5.12 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრებები თავისუფლად, თუ მისი შეხედულებები არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს.

5.13 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ შესაძლებელია ადვოკატ ვ. ა.-ის მიერ გაჟღერებული ფრაზა „რუსი ოკუპანტები" არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის, თუმცა 2023 წლის 29 აგვისტოს შპს ლ.-ის საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ადვოკატის მიერ წარმოთქმული ფრაზა ვერ შეფასდება ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს გარეთ მოქმედებად. საჩივრის ავტორის

მიერ, წარმოდგენილი ჩანაწერით, არ დგინდება, რომ აღნიშნული ფრაზა ადვოკატმა გააჟღერა საჩივრის ავტორის მიმართ და მისი მიზანი იყო საჩივრის ავტორის დისკრედიტაცია. ასევე არ დგინდება ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ გამოხატული კომუნიკაციის ისეთი ფორმა (მათ შორის ხმამაღალი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული ტონი), რომელსაც შესაძლებელია, პროცესის მონაწილის უფლებების შელახვა გამოეწვია.

5.14 ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადება „რუსი ოკუპანტები“ შეეხება საერთაშორისოდ აღიარებულ ფაქტს - რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

5.15 საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით. (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 1).

5.16 საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით გაცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია. (საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, პრეამბულა).

5.17 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ გ. ა.-ს საჩივარზე ადვოკატ ვ. ა.-ის მიმართ, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან არ არსებობს ამ ნაწილში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლის და ეთიკის კოდექსის 9.1, 9.4 მუხლების დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.18 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე იმის თაობაზე, რომ შპს ლ.-ის მიმდიბარე ტერიტორიაზე, 2023 წლის 29 აგვისტოს, ადვოკატ ვ. ა.-ის მხრიდან გაჟღერებული ფრაზა *„რუსი ოკუპანტები“* იყო ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისკრიმინაციის თაობაზე მსჯელობა სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას და ის მისი განსახილველი საკითხი არაა.

5.19 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მას აქვს განცდა, თითქოს ადვოკატი ვ. ა. უთვალთვალებს, ურეკავს განუწყვეტლივ, დასდევს ყველგან, სადაც კი გამოჩნდება. აღნიშნული ქმედებები შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ კი ადევნების ნიშნებს და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას, შესაბამისად ეთიკის კომისია არაა უფლებამოსილი, რომ იმსჯელოს მოცემულ საკითხზე.

5.20 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №086/23 ადვოკატ ვ. ა.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/